შპს ქილუქი

სამშენებლო საძიებო საინჟინრო გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების საწარმო

ქ.თბილისიდავითაღმაშენებლისგამზირი 164 ტელ. 2954247, 577460216. ელ-ფოსტა:sergo_gogmachadze@yahoo.com

ექსპერტის დასკვნა

დასკვნა შეადგინა

სერგო გოგმაჩაძე, დაბადებული 1948 წელს,უმაღლესი განათლებით, გეოლოგის დოქტორი, შ.პ.ს.,,ქილუქი"-ს დირექტორი მუშაობის 42 წლის სტაჟის მქონე.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტროს განსაკუთრებულ ნაგებობათა

და ქართულ-გერმანულ საექსპერტო

ბიუროს ექსპერტი /ს.გოგმაჩაძე/

18.08.2014

2014 წლის 16 აგვისტოს შ.პ.ს. ,,ფორტის დეველოპმენტი"-ს დირექტორის, ალ.მეტრეველის განცხადების საფუძველზე ჩატარდა ექსპერტიზა ქ.თბილისში

ნ.ყიფშიძის ქ N9-ში. მშენებარე მრავალფუნქციური დანიშნულების შენობის გავლენასთან დაკავშირებით მის მიმდებარე არსებულ და მომიჯნავე მშენებარე ნაგებობებზე: კერძოდ დაირღვევა თუ არა ნორმატიული აქტებით დადგენილი პირობები,საპროექტო 13 სართულიანი შენობის დასაძირკვლებით და მშენებლობით. კერძოდ: 1. ყიფშიძის ქ N5ა ბ- ში 10-13 სართულიან შეჩერებულ (აშენებულია 3 სართული). 2.ყიფშიძის ქN7-ში 10-13 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი. 3. ყიფშიძის ქ N10-ში -12 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი.4.ყიფშიძის ქ #9ბ,10 სართულიანი საცხოვრებელი შენობების მდგრადობაზე.

5 ა-ბ-ში მშენებარე (შეჩერებული)შენობასთან საპროექტო შენობა დაშორებულია L=10მ,საძირკვლის ჩაღრმავება h=2.0მ

N7-ში არსებული ტერასული 10-13 სართულიანი დასაძირკვლების სიღრმე h=3,4მ საძირკვლებს შორის დაშორება L=6,0მ-ს,საპროექტო შენობას და არსებულ საცხოვრებელ კორპუსს შორის გადის შიდა გზა.

N10-ში არსებული შენობა ის 12 სართულიანია რომლის დასაძირკვლების სიგრძე h=2,0 მეტრია. ის დაცილებულია L=16 მეტრით და გამოყოფილნი არიან ერთმანეთისაგან სატრანსპორტო ქუჩით

N9 -ბ -ში არსებული 10 სართულიანი შენობის დასაძირკვლების სიღრმე h=2,0 მ-ია. შენობათა საძირკვლებს შორის მანძილი L=1,5 მ-ია რომლის შემდეგაც სამშენებლო ქვაბული ტერასულად 2,0-4,0 მეტრით სცილდება.

ექსპერტიზისთვის გამოყენებული მასალები

1ქ.თბილისი, ყიფშიძის ქუჩა N9 .მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, ორ ალბომი.არქიტექტორი გ.მონიავა.2014წ

2.პროექტის კონსტრუქციული ნაწილი ერთი ალბომი.კონსტრუქტორი ე.წოწერია 2014წ

3.ს.ს ,,საქქალამშენპროექტი“-ს საძიებო განყოფილების მიერ საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა ნ.ყიფშიძის ქ N7-ში მრავალფუნქციური კომპლექსური მშენებლობისათვის ჩატარებულ კვლევაზე 2007 წ

4.ს.ნ და წ 2.02.01.-83. ,,შენობისა და ნაგებობის ფუძეები“ 1985 წ მოსკოვი

5.დამხმარე სახელმძღვანელო შენობიასა და ნაგებობების ფუძეების პროექტირებაში 1986 წ მოსკოვი.

გამოკვლევა

საპროექტო მონაცემების და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შესწავლის საფუძველზე გამოვიკვლიეთ, რომ არსებული შენობის საძირკვლის ჩაღრმავება შედგენს 2.0 მ-ს. ხოლო საპროექტო შენობის საძირკვლის ძირის ნიშნული h=7,5 მეტრს ორ დონიანი პარკინგის შემთხვევაში და 4,5 მ-ს ერთ დონიანი პარკინგის შემთხვევაში მიწის ზედაპირიდან. მათ შორის დაცილება კი 1.5 მეტრს.

საპროექტო შენობის საძირკვლის მოწყობა განხორციელდეს წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის სრული დაცვით, ხიმინჯების ფარდის წინასწარი მოწყობით და სამშენებლო ქვაბულის ტერასული ამოღებით. ამ შემთხვევაში შენობიდან ფუძეებზე გადაცემული ჯამური დატვირთვებისა P=2.2-2.5 კგ/სმ კვ (220-250კპა) თითქმის ერთნაირია და ტერიტორიის ამგები გრუნტების ამტარუნარიანობა (საანგარიშო წინაღობა R 0 = 2.5 კგ.სმ.კვზეა, (250 კპა) შინაგანი ხახუნის კუთხე φ საშ = 18.5 გრადუსს, ხვედრითი შეჭიდულობა C=0.28კგძ/სმ კვ (28კპა) თუ არსებულ სიდიდეებს შევიყვანთ სნ და წ 2.02.-01-83 2,33 პარაგრაფის მე-4 ფორმულაში

$$\Delta h = a(tg\varphi_1+c_1/p)$$

ისინი აკმაყოფილებენ ფორმულის მოთხოვნებს საიდანაც საპროექტო შენობის დასაძირკვლების პირობები ვერ იმოქმედებს მის მიმდებარედ არსებულ შენობებზე.

დასკვნა

1 ორდონიანი ავტოპარკინგის მოწყობის შემთხვევაში რომლის აბსოლიტური ნიშნული იქნებოდა 461.0 ხოლო არსებული შენობის 466.0 მათი ზეგავლენა გამომჟღავნდებოდა უარყოფითად იმდენად, რომ რაიმე ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაშიც კი ძნელად იქნებოდა უზრუნველყოფილი არსებული შენობის მდგრადობა.

2 ერთდონიანი ავტო-პარკინგის მოწყობის შემთხვევაში(აბსოლიტური ნიშნული 464,0)დასაძირკვლების პირობებიდან გამომდინარე ყიფშიძის ქუჩა N 9-ში საპროექტო შენობა და N 5ა-ბ ში,N7ბ-ში, N9ბ-ში და N 10-ში არსებული ნაგებობები მდგრადობის თვალსაზრისით ერთმანეთზე გავლენას ვერ მოახდენენ.

3 საპროექტო შენობის საძირკვლების მოწყობა განხორციელდეს პროექტის სრული დაცვით, ხიმინჯების ფარდის წინასწარი მოწყობით და სამშენებლო ქვაბულის ტერასული ამოღებით.

ექსპერტი გეოლოგიის დოქტორი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის
პროფესორი /ს.გოგმაჩაძე/

18.08.2014

ქ.თბილისი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩა №9-ში მშენებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით, ამა წლის სექტემბრის თვეში, ჩვენს მიერ პროექტის მთავარი არქიტექტორის მიმართ შედგენილ იქნა წერილი. წერილში ხაზგასმით არის არგუმენტირებული ჩვენი უარყოფითი პოზიცია შენობისთვის ორდონიანი მიწისქვეშა სივრცის მოწყობასთან დაკავშირებით. შენობის ქვაბულის ძირის აბსოლუტური ნიშნული უნდა ყოფილიყო 461,0. ამავე დროს, საპროექტო შენობას აღმოსავლეთის ტორეცზე უშუალოდ ემიჯნება 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის საძირკვლის ძირის ნიშნული არის 466,0. სამხრეთიდან ესაზღვრება მშენებარე 2 სართულიანი შენობა, რომლის სამშენებლო მოედანი ამჟამად გამოყენებულია ავტოსადგომად.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მთელ სიღრმემდე (40,0მ) ძირითადად გავრცელებულია ტბიური ნალექები, წარმოდგენილი მოყვითალო-ყავისფერი თიხოვანი გრუნტით. აქედან გამომდინარე საპროექტო შენობის დაფუძნება ხდება თიხოვან გრუნტებზე.

შენობის ორდონიანი მიწისქვეშა სართულის მოწყობა საფრთხეს უქმნის მომიჯნავედ არსებულ 10 სართულიან შენობას, რომლის მიმართ ქვაბულის ასეთი ჩაღრმავება კატეგორიულად მიუღებელია. აღნიშნულის დასაბუთება მოცემულია სამშენებლო ნორმების და წესების Ან 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) მუხლი 10 პუნქტი 5-ში. აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი შემთხვევები წარმოადგენს გადაულახავ სირთულეს – მათი აღმოხრვის ტაქნოლოგიები ქვეყანაში არ არსებობს.

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ძირითადი საპროექტო გადაწყვეტების უზრუნველსაყოფად აუცილებელია გაუქმდეს ქვედა მიწისქვეშა სართული.

პროექტის მთ.
კონსტრუქტორი ე. წოწერია

თბილისი 11-2014